

## მირანდა ტყეშელაშვილი

*თბილისის ივანე ჯავახიშვილის სახელობის  
სახელმწიფო უნივერსიტეტი, შოთა რუსთავე-  
ლის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტის  
მეცნიერ-თანამშრომელი*

### მარი ბროსეს გარდაცვალება და ქართველი საზოგადოება

გამოჩენილი ორიენტალისტი და ქართველოლოგი – მარი ფელისიტი ბროსე 1880 წლის 22 აგვისტოს გარდაიცვალა, საფრანგეთის პატარა ქალაქ შატელროში. მის გარდაცვალებას ღრმა მწუხარებით გამოეხმაურა ქართველი საზოგადოება, გარდა ნეკროლოგებისა, მის შესახებ ვრცელი სტატიები დაინერა; თბილისში, სიონის ტაძარში გადაიხადეს ბროსეს პანაშვიდი, რომელსაც საზოგადოების სხვადასხვა ფენის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

მარი ფელისიტი ბროსე დაიბადა 1802 წელს პარიზში, ხელმოკლე ვაჭრის ოჯახში. სწავლობდა ორლეანში, შემდეგ სან-სულპისიენის სასულიერო სემინარიაში, ისმენდა ლექციებს კოლეჟ დე ფრანსში, სწავლობდა ჩინურ ენასა და ლიტერატურას, შემდეგ ხელი მოჰკიდა ქართულსა და სომხურს, შეისწავლა პარიზში დაცული ქართული ხელნაწერები, გამოაქვეყნა რამდენიმე ქართველოლოგიური ნაშრომი, აგრეთვე ქართული ენის გრამატიკის სახელმძღვანელო. მისმა შრომებმა საფუძველი ჩაუყარა მეცნიერულ ქართველოლოგიას ევროპაში. ბროსეს შემწეობას უწევდნენ ყ. ა. სენ-მარტენი და პეტერბურგში მცხოვრები თეიმურაზ ბატონიშვილი (მინერ-მონერიტ).

1837 წელს ბროსე რუსეთში მიიწვიეს, 1838 წელს აირჩიეს პეტერბურგის მეცნიერებათა აკადემიის წევრად ქართულ-სომხური ფილოლოგიის განხრით. 1839-1841 წლებში აკადემიასა და უნივერსიტეტში წაიკითხა ლექციების ციკლი საქართველოს და სომხეთის ისტორიის შესახებ. 1847-1848 წლებში იმოგზაურა საქართველოში, შეკრიბა დიდძალი ეპიგრაფიკული, ნუმისმატიკური, დოკუმენტური და სხვა მასალა და პეტერბურგში სამ წიგნად გამოაქვეყნა (1849-1851), ფრანგულად თარგმნა და 1849-1858 წლებში შვიდ ტომად დაბეჭდა „ქართლის ცხოვრება“, ვახუშტის გეოგრაფიის ნაწილი, სეხნია ჩხეიძის, პაპუნა ორბელიანის და ომან ხერხეულიძის ისტორიული თხზულებები ვრცელი მეცნიერული კომენტარებითურთ (ამ გამოცემის IV ტომი დაიბეჭდა დ. ჩუბინაშვილის რედაქციაზე).

ციით). საქართველოში მარი ბროსეს პირველი მოგზაურობის შესახებ, 1847 წლის ბოლოს, წერდა თბილისში რუსულ ენაზე გამომავალი გაზეთი „კავკაზი“ (1848 წლის 5 იანვარს) სათაურით – „ბატონი ბროსეს ჩამოსვლა ტფილისში“. ავტორი აღნიშნავდა: კავკასია რომ მეცნიერების განსაკუთრებული ინტერესის საგანი გახდა, პეტერბურგის უნივერსიტეტში ქართული ენის კათედრაც კი დაარსდაო. ეს მოვლენა აჩვენებს, თუ როგორ ზრუნავს რუსეთის მთავრობა ყველასა და ყველაფერზე, მათ შორის განათლებაზეც, რისი საუკეთესო გამოვლინებაც არის საიმპერატორო აკადემიის აკადემიკოსის, ბატონი ბროსეს ჩამობრძანება, რათა ახლოს გაეცნოს საქართველოს ისტორიასა და ლიტერატურას, ქართულ ენას, შეისწავლოს ბევრი აქამდე უცნობი ლიტერატურის ძეგლი და ხელნაწერი, რომლებიც დღემდე არავის გაურჩევია და გამოცდილი მკვლევრის ხელს ელოდნენო. ავტორის ცნობით, საქართველოს სხვადასხვა კუთხეში მოგზაურობის დასასრულს, ტფილისში დაბრუნებული მარი ბროსესთვის საპატიო სადილიც გაუმართავთ ადგილობრივი ნარჩინებულის ოჯახში [1].

1861 წელს მან გამოსცა საბუთები რუსეთ-საქართველოს ურთიერთობის შესახებ. ბროსეს 200-ზე მეტ ნაშრომში თავმოყრილია დიდძალი კრიტიკულად შემოწმებული მასალა. მან გაამდიდრა ქართული ისტორიოგრაფია, გააფართოვა მისი წყაროთმცოდნეობითი ბაზა, წინ წასწია ქართული ნუმიზმატიკის, სფრაგისტიკის, ეპიგრაფიკისა და სხვა დამხმარე დარგების შესწავლა, ნამოჭრა და დაამუშავა შუა საუკუნეების საქართველოს ისტორიის მრავალი საკითხი. დაიწყო „ქართლის ცხოვრების“ კრიტიკული შესწავლა, სცადა დაენერა საქართველოს ისტორიის კურსი.

მარი ბროსემ არაერთი საყურადღებო ნარკვევი უძღვნა შუა საუკუნეების ქართული ლიტერატურის ძეგლებს („ვეფხისტყაოსანი“, „რუსუდანიანი“, „ომანიანი“ და სხვა). ბროსემ დააყენა და გააშუქა საკითხი ქართული „რაინდული რომანის“ თავისებურების შესახებ, დ. ჩუბინაშვილთან და ზ. ფალანდიშვილთან ერთად 1841 წელს გამოსცა „ვეფხისტყაოსანი“. მას ეს პოემა 1826 წელს შემთხვევით ჩაუვარდა ხელში. მალე მისი პირველი ნაწილი ფრანგულად თარგმნა და გამოაქვეყნა კიდევ. სწორედ ამ თარგმანით მიეცათ საშუალება ევროპელებს, გაცნობოდნენ პოემას.

სულ მალე ბედმა პეტერბურგში მოღვაწე ქართველ სწავლულთან, გიორგი XII-ის ძესთან, პეტერბურგის საიმპერატორო მეცნიერებათა აკადემიის, პარიზის სააზიო საზოგადოების და კოპენჰაგენ-

ნის სამეფო ანტიკვართა საზოგადოების საპატიო წევრთან – თეიმურაზ ბატონიშვილთან დაახლოვა, მისგან იღებდა რჩევებს, შენიშვნებს, მასვე უზიარებდა თავის აზრებს. საბოლოოდ ისე დაახლოვდნენ, რომ ბროსემ შვილიც კი მოანათლინა ქართველ ბატონიშვილს, რომელსაც სიცოცხლის ბოლომდე თავის დიდ მასწავლებლად თვლიდა.

ხელმოკლედ მცხოვრები ბროსე სიამოვნებით დათანხმდა რუსეთის მეცნიერებათა აკადემიის წინადადებას – გადასახლდა პეტერბურგში და ოცნება აისრულა, აკადემია ევროპაში ქართველოლოგიის წამყვან ცენტრად გადააქცია. ამ დიდ ქართულ საქმეში მას მხარში ამოუდგნენ რუსეთში მოღვაწე ქართველი მეცნიერები – დავით ჩუბინაშვილი, პლატონ იოსელიანი, ზაქარია ფალავანიძე-ვილი და სხვები.

სამეცნიერო მოღვაწეობასთან ერთად აღსანიშნავია მარი ბროსეს წვლილი ქართული შრიფტის ჩამოსხმის საქმეში. 1838 წელს, მისი მცდელობით, შრიფტი უკვე მზად იყო.

1847-1848 წლებში საქართველოში სტუმრად მყოფ ბროსეს ქრისტიანთა მამაცაშვილთან, გიორგი ერისთავთან, პლატონ იოსელიანთან და სხვებთან ერთად, ილიას სიმამრი თადეოზ გურამიშვილიც მასპინძლობდა. ამ მოგზაურობისას ბროსემ საქართველოში თერთმეტი თვე დაჰყო. თითქმის ნახევარი საქართველო მოიარა, გაეცნო ქართულ სიძველეებს, სიგელ-გუჯრებს. კახეთში რაფიელ ერისთავის მამა, დავით ერისთავი გაიცნო, რომელმაც შინ მიიპატიჟა უცხოელი სტუმარი. ბროსე აღტაცებაში მოიყვანა რაფიელის დის – ანას განსწავლულობამ, რომელიც შემდეგში გენერალ ნიკო ჭავჭავაძის მეუღლე გახდა და 1878 წელს დაიღუპა არტაანში, რუსეთ-ოსმალეთის ომში, საკუთარი სურვილით მოწყალეების დად წასული. არანაკლებ განუცვიფრებია თავად რაფიელ ერისთავს, რომელიც მოგზაურს, გაცნობის შემდეგ, მეგზურობასაც უწევდა და საყურადღებო ცნობებსაც აწვდიდა მისთვის საინტერესო ამა თუ იმ საკითხის შესახებ. მარი ბროსე შესწრებია რაფიელის სიტყვას, რომელიც მას ლეკებთან შეტაკებაში მოკლული მიხეილ ანდრონიკაშვილის დაკრძალვაზე წარმოუთქვამს. გაკვირვებული უსმენდა თურმე სტუმარი საოცარ ორატორს და შემდეგაც მუდამ აღნიშნავდა, რომ ასეთი მოსაუბრე იშვიათად შეხვედრია. რაფიელი ბევრს ესაუბრებოდა ბროსეს საქართველოს წარსულზე, პატარა რუკაც კი შეადგინა მისთვის. საქართველოში მოგზაურობის შთაბეჭდილებები ბროსემ სამ წიგნში მოათავსა, შვიდ ტომად

გამოსცა „ქართლის ცხოვრება“ ფრანგულ ენაზე, ასევე ფრანგულად თარგმნა ვახუშტი ბატონიშვილის საქართველოს გეოგრაფია, დანერა ნარკვევები საქართველოს ისტორიაზე, არქეოლოგიაზე, ნუმიზმატიკაზე, პეტერბურგის უნივერსიტეტში დააარსა ქართული სიტყვიერების კათედრა და მეორედ დაბეჭდა „ვეფხისტყაოსანი“, რომლის წინასიტყვაობაში წერდა: „წიგნი ესე უებარი და უამხანაგოა და მისი უმჯობესი ევროპაშიც ბევრი არ მოიძებნება“.

მუხლჩაუხრელმა შრომამ და პეტერბურგის ჰავამ ბროსეს ჯანმრთელობა სრულიად შეარყია. 77 წლის ღვანლმოსილი მოხუცი საკუთარ სამშობლოს დაუბრუნდა და ორ წელიწადში გარდაიცვალა კიდევც.

პირველად ბროსეს გარდაცვალებას გამოეხმაურა ცნობილი საზოგადო მოღვაწე და პუბლიცისტი, გაზეთ „დროების“ რედაქტორი – სერგეი მესხი. ის იხსენებდა მეცნიერის დიდ ღვანლს საქართველოს წინაშე და წერდა: „ამ კაცმა ჩვენი ხსენება და სახელი საუკუნო მოსახსენებლად გახადა ევროპაში... მას შემდეგ, რაც საქართველოს ბედი რუსეთისას შეუერთდა, ჩვენი ქვეყნის ხსენება თითქმის სრულად მოისპო ევროპაში. ბროსემ პირველმა შეატყობინა ქვეყანას ჩვენი წარსული ისტორიული ცხოვრება, ჩვენი ბედილბალი და მდგომარეობა. აი, ამისათვის ჰმართებს ახლად მიცვალებულს ბროსეს ყოველის ქართველისაგან საუკუნო მადლობა და პატივისცემით მოხსენიება“.

მესხი წერდა, რომ დაბადებით ფრანგმა, ქართველებისთვის უცხო და თავად გაჭირვებულმა ადამიანმა თავი დასდო ქართველი ხალხის ისტორიისა და ლიტერატურის შესასწავლად, და ეს მაშინ, როდესაც თავად ბევრი ქართველი გულგრილობას იჩენდა საკუთარი ქვეყნის პრობლემებისადმი: „ამისთანა კაცის სიკვდილი მთელი ქართველობისათვის სახალხო მწუხარებად უნდა ჩაითვალოს. მაგრამ ამ მწუხარებაში ჩვენ ის გარემოება გვანუგეშებს, რომ მიცვალებულის ცხოვრება სამაგალითო, მისაბაძვად დარჩება იმ ქართველი ახალგაზრდებისათვის, რომელთა პირული მოვალეობა სამშობლოს უანგარო სამსახური და იმისათვის თავის საუკეთესო დღეების შეწირვა უნდა იყოს...“ [2, 184].

ამავე გაზეთში გამოქვეყნდა ვრცელი ნეკროლოგი ცნობილი ბიოგრაფისა და პუბლიცისტის – იონა მეუნარგიას ხელმოწერით.

ბიოგრაფიული მონაცემების შემდეგ, მეუნარგია ეხებოდა საქართველოს ისტორიის, კულტურისა და ქართული ენის შესწავლით ბროსეს დაინტერესების მოტივაციას. მეუნარგია წერდა, რომ

მარი ბროსე პოლიგლოტი იყო, მრავალი ენა იცოდა და სენ-მარტენის რჩევით, მარტო, ლექსიკონებისა და სათანადო ლიტერატურის გარეშე, მან ისწავლა ქართული ენაც და პირველი ქართველოლოგიური ნაშრომი 1827 წელს გამოაქვეყნა ფრანგულ ჟურნალში. ამას მოჰყვა უამრავი სტატია ფრანგულ პრესაში, სადაც საუბარი იყო ქართული ენისა და მწერლობის შესახებ, ქართული ფულის ნიშნებსა და საქართველოს ისტორიის საკითხებზე. მანვე ფრანგულ ენაზე თარგმნა „ქართლის ცხოვრება“. 1836 წელს ბროსე რუსეთში გადმოსახლდა და პეტერბურგის უნივერსიტეტში შეუდგა მოღვაწეობას: იგი აღმოსავლეთმცოდნეობის ფაკულტეტზე ასწავლიდა ქართულ და სომხურ ენებს. 1844 წელს აკადემიკოსად აირჩიეს. ამ დროს პეტერბურგის უნივერსიტეტში ფუნქციონირებდა ძლიერი ქართველოლოგიური სკოლა. მათ რიგებს შეემატა მარი ბროსეც, რომელმაც უამრავი შრომა და ღვაწლი მიუძღვნა ქართული საისტორიო და სამართლის ძეგლების შესწავლას, მათ თარგმნას ფრანგულ ენაზე. „რამდენად ვრცელი და საკვირველია ბროსეს შრომა, – წერდა იონა მეუნარგია, – უნდა გავსინჯოთ იმით, რომ მარტო „ქართლის ცხოვრებისა“ და ვახუშტის გეოგრაფიის თარგმნისათვის ჩვენებურ კაცს მთელი თავისი სიცოცხლე არ ეყოფოდა“.

1880 წლის 4 სექტემბერს, ილია ჭავჭავაძის თაოსნობით, სიონის ტაძარში ბროსეს ხსოვნისადმი მიძღვნილი პანაშვიდი გადაიხადა ეპისკოპოსმა ალექსანდრემ, ხოლო სიტყვა წარმოთქვა არქიმანდრიტმა გრიგოლმა (დადიანმა). ამ ღონისძიებას გაზეთ „დროების“ კორესპონდენტის, „ქართლოსის“ აღშფოთებული წერილი მიეძღვნა. მისი აღელვების საგანი გახდა პანაშვიდზე მოსული ქართველების მცირერიცხოვნება. მიუხედავად იმისა, რომ „დროების“ 186-ე და ასევე, გაზეთ „კავკაზის“ 235-ე და 236-ე ნომრებში საზოგადოება გაფრთხილებული იყო ამ ღონისძიების შესახებ, ხალხს პრესამ მოუწონდა პატივი მიეგო ამ დიდი ადამიანის ხსოვნისთვის, ამას შედეგი არ მოჰყოლია, პანაშვიდს მცირერიცხოვანი საზოგადოება დაესწრო. კორესპონდენტი წერდა, რომ ეს სამარცხვინო საქციელი და დაუფასებლობა იყო იმ ადამიანისა, „რომელმაც თითქმის თავისი თავი შესწირა საქართველოს ისტორიისათვის და აღადგინა ერთხელ ცნობილი და შემდეგ დაკარგული ევროპისათვის ჩვენი ხალხი“. ავტორი წყენასა და გულისტკივილს ვერ მალავდა, რომ მხოლოდ ცხრამეტმა ქართველმა მიაგო მას პატივი და დაესწრო პანაშვიდსა და მოისმინა ის მშვენიერი სიტყვა, რომელიც სიონში წარმოთქვა არქიმანდრიტმა გრიგოლ დადიანმა [3,188].

კორესპონდენციას მოსდევს ეს შთამბეჭდავი სიტყვა: „ქრისტესმიერო საყვარელნო ძმანო! – მიმართავდა არქიმანდრიტი ხალხს. – დღეს შევიკრიბებით ჩვენ წმინდასა ტაძარსა შინა, რათა მივსცეთ უკანასკნელი პატივი კაცსა შორიელსა და უცხოსა, რომელმანცა სიყრმითგანვე შეიყვარა ქვეყანა ქართლოსიანთა, ერი, ენა და მისი წარსული ისტორიული ცხოვრება... მივაგოთ კაცსა სანყაულისა-მებრ. ჩვენ გვრწამს, რომ მომავალი, რომელიც იწყება დღეს ამ კაცისათვის, დააფასებს ღირსეულად მის შრომას. ის დაინახავს, რომ ეს იყო პირველი კაცი, რომელმანც ქართულ მატრიანეს და ქართული ენის შესწავლას მოჰკიდა ხელი იმ რიგით და წესით, რა რიგითაც სწავლობენ საზოგადოთ ისტორიასა და ენას“. არქიმანდრიტმა თქვა, რომ მისი განმარტებების გარეშე ბევრი რამ გაუგებარი იქნებოდა „ქართლის ცხოვრებაში“.

„ბროსეს ცხოვრება ბევრით მიაგავს იმ მისიონერთა ცხოვრებას, — თქვა გრიგოლ არქიმანდრიტმა, — რომელნიც სტოვებენ სამშობლო მინას და მიდიან კიდიდან კიდემდე სოფლისა, რათა აუწყონ სახარება უფლისა, ამანაც, ამ ისტორიული ჭეშმარიტების მოციქულმა, დაუტევა საფრანგეთი, თავსი სამშობლო, მაგრამ მაცხოვრისგან მზად დატოვებულ ჭეშმარიტების გასაფენად კი არ, ისტორიისა და დროებისგან მიფარულ ჭეშმარიტების საძიებლათ... ძველი ივერია, რომლის მინდვრებზე ბროსემ, ვითარცა მოციქულმა ანდრიამ, დასვა ნიშანი მომავალი ქართული ისტორიის წარმატებისა, იხილავს ადრე თუ გვიან, ბროსესგან დაწყებულის საქმის დაგვირგვინებას, და თავის მხრით თვითონ დაუდგამს მას ნიშანს ამ წარწერით: „ბროსეს — მადლობელი საქართველო“. საუკუნოდ დარჩეს ყოველ ქართველ გულში ამ კაცის ხსენება!“ [2, 188].

მარი ბროსეს პანაშვიდი გადაუხადეს ქუთაისშიც, 1880 წლის 8 სექტემბერს, კათოლიკურ ეკლესიაში. აქაც წარმოითქვა მგრძნობიარე სიტყვები, რომელთა შორის გამოირჩეოდა გიორგი წერეთლის სიტყვა.

„თვალცრემლიანი ვდგევართ ამ ტაძარში ქართველნი ორის სხვადასხვა აღსარებისა, თანასწორის მხურვალე გრძნობით გვიდუღს გული ცხედრის წინ. ვინ არის ეს დიდებული მიცვალებული, რომელმაც თავის კუბოს წინ შეგვაერთა და აგვატირა ორი ღვიძლი ძმა სარწმუნოების გამო ამდენი ხნით ერთმანეთზე დაშორებულნი? ეს არის საქართველოს სახელგანთქმული მეთისტორიე მარი ბროსე, გვართ ფრანცუზი, სარწმუნოებით კათოლიკე, გულით ქართველი და ქველმოქმედებით კაცობრიობის წარჩინებული წარმომადგენელი.

ქემმარიტად დიდი და შორსგამჭვრეტი ყოფილა ეს ფრანცუზი, როცა ის შეუდგა ქართული ენის შესწავლას და გულში ჩაიგდო საქართველოს ისტორიის დამუშავება, იმდენათ მივინყებული იყო ქართველობა და იმის ცხოვრება, რომ არამცთუ უცხო ქვეყნის კაცებსა, თვით იმ დროის დანიანურებულ ქართველებსაც არ ჰქონდათ იმის იმედი, რომ საქართველო კიდევ განახლდებოდა...”

გიორგი წერეთლის აზრით, ბროსემ მიაგნო ჩვენი ისტორიის მთავარ ძარღვს, ამისთვის უძნელესი შრომა გასწია. მან ფეხით მოიარა სომხეთი და საქართველო, მრავალი სიგელ-გუჯრის შემონმება და გაანალიზება მოუწია, მაგრამ თავისი კეთილშობილი მიზანი ღირსეულად აღასრულა. წერეთელი ხაზს უსვამდა ბროსეს სახით ქართველი და ფრანგი ერების დაახლოებასა და მათ შორის სიყვარულისა თუ მადლიერების დიდი გრძნობის გაჩენას და ამბობდა: „ამიერიეთგან ყოველი ქართველსათვის ძვირფასი შეიქმნა საფრანგეთის ერი, რომელმაც გამოუგზავნა თავის წარჩინებული შვილი ჩენს ქვეყანას მეცნიერების მოციქულად და საქართველოს დიდებული ბედის წინასწარმეტყველად. ამიერიეთგან ყოველს ქართველს კიდევ უფრო დიდი იმედი მიეცა საფრანგეთისა“ [4, 192].

მარი ბროსეს პანაშვიდი გადახდილი იქნა ასევე ქალაქ გორში. საქართველოს თითქმის ყველა ქალაქიდან და რაიონიდან წერდნენ პრესის რედაქციებს: სათანადო პატივი მიგებოდა მის ხსოვნას. როგორც რედაქტორის წერილი იუწყებოდა, „დროებას“ მრავალი ასეთი თხოვნა მიუვიდა, სადაც სურდათ ბროსეს სახელობის პრემიისა თუ სტიპენდიის დაწესება. სერგეი მესხის ცნობით, ერთი ასეთი წერილის ავტორი იყო ქრისტეფორე მამაცაშვილი. მესხს მოჰქონდა ვრცელი ამონაწერი მამაცაშვილის წერილიდან, სადაც ფრანგი მეცნიერის ღვანლი განსაკუთრებული პატივით მოიხსენიებოდა და დაყენებული იყო საკითხი მისი უკვდაყოფისათვის ჩასატარებელი მომდევნო ღონისძიებების გატარებაზე. ჩვენ რომ ღარიბები არ ვიყოთ, – წერდა მამაცაშვილი, „ჩვენი პირდაპირი მოვალეობა იქნებოდა აღგვემართა მარი ბროსესთვის ძეგლი, მაგრამ რადგანაც ჩვენი სიღარიბე ამის ნებას არ გვაძლევს, ამისათვის ეს მივანდოთ ჩვენს შთამომავლობას, რომელიც იქნებ ჩვენზე მდიდრები და ბედნიერები შეიქნენ და ჩვენ კი ცუდად არ მოვიქცეოდით, რომ ერთი ან რამდენიმე წლის განმავლობაში მოგვეგროვებინა ფული და იმის სასარგებლოდ დაგვენიშნა ერთი ან რამდენიმე სტიპენდია გიმნაზიაში, სემინარიაში, ან უნივერსიტეტში მარი ბროსეს სახელობაზედ. განსაკუთრებით შეიძლებოდა მხედველობაში

გველოდა ის მოსწავლეთაგანი, ვინც ყველაზე მეტ წარმატებასა და ნიჭს გამოიჩინდა ქართულის ენის შესწავლაში“.

მამაცაშვილი წინადადებას აძლევდა „დროების“ რედაქციას, თუ ამ წინადადებას მიიღებდა, თავის თავზე აელო ფულის შეგროვება. რედაქციამ პირველ ხანებში უარი თქვა სტიპენდიასა და ძეგლის აღმართვაზე და დაიწყო ბროსეს სახელობის პრემიისათვის ფულის შეგროვება. გაზეთში იბეჭდებოდა იმ ადამიანთა სახელები, ვინც საამისოდ იღებდა თანხას [5, 198].

დამზადდა მარი ბროსეს სურათები, რომელიც ზაქარია ჭიჭინაძის წიგნის მალაზიაში იყიდებოდა. შემოსული თანხა მთლიანად ხმარდებოდა ბროსეს ქართულ ენაზე ნათარგმნი შრომების გამოცემას [5, 199].

1902 წელს მარი ბროსეს დაბადების 100 წლისთავის აღსანიშნავად ისევ და ისევ ილიამ დაიწყო სამზადისი და „ივერიაში“ დაბეჭდა – „თბილისის ერთ-ერთ ქუჩას დაერქვას სახელი განსვენებული ისტორიკოს-არქეოლოგის მარი ბროსესი, რომელსაც დიდი სამეცნიერო შრომა მიუძღვის ჩვენი ქვეყნის წინაშე. ევროპიელთაგან მან პირველმა აიღო ჩვენი ქვეყნის ისტორია და ლიტერატურა სამეცნიეროდ შესწავლის სპეციალურ საგნად და მიიპყრო მთელი განათლებული ქვეყნების მეცნიერთა ყურადღება“. ამ დაყინებულმა თხოვნამ ნაყოფი გამოიღო. მალე „ივერია“ საკუთარ მკითხველს ამცნობდა: „ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოების თხოვნისამებრ ქალაქის საბჭოს კომისიამ 11 მარტის საღამოს სხდომაზე გადაწყვიტა ბროსეს სახელი დაერქვას „ვოდოვოზნის“ ქუჩას პოლიციის მესამე უბანში“. ეს ამბავი დიდი ზარ-ზეიმით უცნობებიათ ბარსელონაში რუსეთის მთავარი კონსულისთვის – მარი ბროსეს ვაჟისთვის – ლორან ბროსესთვის.

ამავე წლის მარტში ქართველებმა საოცარი პატივით აღნიშნეს ფრანგი მეგობრის ასი წლისთავი. ქართველ კათოლიკეთა ღვთისმშობლის მიძინების ეკლესიაში გადაიხადეს წირვა და პანაშვიდი, რომელსაც თითქმის ყველა წარჩინებული პირი ესწრებოდა კრიონ ეპისკოპოსის, ილიას, საფრანგეთის კონსულის და ნიკო ნიკოლაძის ჩათვლით. გალობდა გუნდი ზაქარია ფალიაშვილის ხელმძღვანელობით.

მარი ბროსეს 270-მდე ნაშრომი აქვს გამოქვეყნებული რუსეთსა და საფრანგეთში, რომელთაგან ძალიან ბევრი უმნიშვნელოვანესია საქართველოსა და სომხეთის ისტორიისა და კულტურის შესწავლის საქმეში.

## დამონმბებული წყაროები და ლიტერატურა:

1. ბატონი ბროსეს ჩამოსვლა ტფილისში, გაზეთი „Кавказ“, 1848, №1.
2. სერგეი მესხი, ბროსეს გარდაცვალებაზე, გაზეთი „დროება“, № 184, 1880.
3. ქართლოსი, შენიშვნა, გაზეთი „დროება“, № 188, 1880.
4. გიორგი წერეთელი, სიტყვა ბროსეს პანაშვიდზე, ქუთაისის კათოლიკურ ეკლესიაში, 1880 წლის 8 სექტემბერს, გაზეთი „დროება“, № 192, 1880.
5. ბროსეს პრემია, გაზეთი „დროება“, №198, 1880.

*Miranda Tkeshelashvili*

*Ivane Javakhishvili Tbilisi State University,  
Research Worker of the Shota Rustaveli  
Institute of Georgian Literature*

## **Marie Brosse's Death and Georgian Society**

### **Summary**

An outstanding orientalist and Kartvelologist Marie Feliceite Brosse died on August 22, 1880 in the small town of Shatroro, France. The Georgian society has responded to his death with deep sadness. Except the necrologies, was written extensive articles about him; In the Sioni Cathedral in Tbilisi, was conducted the funeral rite , which was attended by the representatives of different layers of society. The first article about the death of Brosse was written by Georgian publicist, editor-in-chief of the newspaper "Droeba" - Sergei Meskhi. On September 4, 1880, with the initiative of Ilia Chavchavadze, Bishop Aleksandre paid a funeral to the memory of Broses in the Sioni Cathedral, where Archimandrite Grigol (Dadiani) delivered a speech. Marie Brosse's funeral was held also in Kutaisi, on september 8, 1880, in the Catholic Church. There were also sensitive speeches, among them was George Tsereteli's outstanding speech. The article presents Brosse's Contribution to Kartvelology and the feeling of gratitude to Georgian society.